მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება №38

შილდა 01.09. 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის დარეჯანი კანანაძის სახით და მეორეს მხრივ,ინდ.მეწ.(შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილიმანამა სეფაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს'“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ვაუჩერული დაფინანსებით სკოლის საკლასო ოთახში სარემონტო სამუშაოზე მომსახურების შესყიდვა (CPV:45442180) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 2006 (ორიათასექვს ლარს) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის N2 საჯარო სკოლა

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

- აიფხიკოს ძველი სარეგავი ჭერზე და კედლებზე . შეიღებოს ჭერი და კედლები საღებავი წყალმუსით, კედლები ზეთის სარეგავით
- შეიღებოს იატაკი ზეთის საღებავით

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ ყვარლისმუნიციპალიტეტის სოფელ შილდის №2 საჯარო სკოლის დირექტორი დარეჯანი კანანაძე

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების

უღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ - ქალაქ ყვარლისმუნიციპალიტეტის სოფელ შილდის №2საჯარო სკოლა ს/კ 241557784 მის. : შილდა ტელ:577 12 23 04 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGTE ა/ა დირექტორი დარეჯანი კანანაძე (ხელმოწერა)	მიმწოდებელი: ინდ. მეწ. მანანა სეფაშვილი ს/კ 01007010813 მის.:ყვარელი ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი" ა/ა GE60LB0112172838750000 ინდ. მეწ. მანანა სეფაშვილი (ხელმოწერა)

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	ხის კარების შეღებვა ზეთოვანი საღებავით	მკვ	4,75	2	9,5
	ა-ზეთოვანი საღებავი	კგრ	2,4	8	19,2
2	კედლებისა და ჭერის დაშპაკვლა და შეღებვა წყალემულსიით	მკვ	101	2	202
	ა-შპაკლი აბც	ტომარა	37	10	370
	ბ-წებო ემულსია2,5კგრ	ვედრო	4	16	64
	გ-მკულკა	გრამ	5	6	30
	დ-გრუნტი ბეტეკის 5ლიტრიანი	ბანკა	4	18	72
	ე-წყალემულსია	კგრ	89	7	623
3	ხის იატაკის დაშპაკვლა დაშეღებვა ზეთოვანი საღებავთ	მკვ	32,4	1	32,4
	ა-შპაკლი	ტომარა	6	10	60
	ბ-ზეთოვანი საღებავი	კგრ	20	8	160
4	ალაგ-ალაგ დაზიანებული კედლების შელესვა გაჯის ხსნარით	მკვ	3	5	15
	ა-გაჯი	კგრ	90	0,34	13
5	ხის პლინტუსის შეღებვა ზეთოვანი საღებავით	გრამ	22	0,5	11
	ა-ზეთოვანი საღებავი	კგრ	1	8	8

	ჯამი				1689
	ზედნადების ხარჯი 10პროცენტი				169
	ჯამი				1858
	გეგმიური დაგროვება 8პროცენტი				148
	სულ ჯამი				2006

შილდის N2 საჯარო სკოლის დირექტორი /მარეჯანი კანანაძე/

ინდ.მეწ /მანანა სეფაშვილი/